



**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების და
მასთან დაკავშირებით ხშირად დასმული
კითხვების მიმოხილვა**



**საქმეზე საქართველო
რუსეთის წინააღმდეგ (II)**



**საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია**



დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობდნენ:

ნინო ჯომარტიძე

თამარ ონიანი

გიორგი ტაბატაძე

შესავალი	4
ნაწილი 1	4
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების მიმოხილვა და გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტები საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)	4
რას ეხება საქმე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)?	4
რამდენად ვრცელდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია აქტიური საბრძოლო მოქმედებების ფაზის (2008 წლის 8-12 აგვისტო) განმავლობაში მომხდარ დარღვევებზე?.....	5
რამდენად ვრცელდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდგომი პერიოდი) მომხდარ დარღვევებზე?.....	7
რა უფლებების დარღვევა დაადგინა სასამართლომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მხრიდან?	9
რა უფლებების დარღვევა დაადგინა სასამართლომ სამოქალაქო ტყვეების მიმართ?.....	10
რა უფლებების დარღვევა დაადგინა სასამართლომ სამხედრო ტყვეების მიმართ?.....	11
რა არგუმენტებზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ მიმოსვლის თავისუფლების დარღვევა?...	12
რა უფლების დარღვევა დაადგინა სასამართლომ რუსეთის ფედერაციის მიმართ 8-12 აგვისტოს პერიოდთან დაკავშირებით?.....	12
რომელი მუხლის მიმართ არ დადგინდა დარღვევა?.....	13
რომელი მუხლის განხილვა არ ჩაითვალა საჭიროდ?.....	14
რას მოიცავს კონვენციის 38-ე მუხლი და რა თქვა სასამართლომ ამ საკითხზე?.....	14
რა თქვა სასამართლომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად რუსეთისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების დაკისრებასთან დაკავშირებით?.....	14
ნაწილი 2.....	15
ხშირად დასმული კითხვები საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით...	15
რა მნიშვნელობა აქვს სტრასბურგის ამ გადაწყვეტილებას?	15
მოითხოვა თუ არა საქართველომ დროებითი ღონისძიება?.....	16
რას ნიშნავს ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენა სასამართლოს მიერ?.....	17
რატომ არ იდავა სახელმწიფომ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევაზე?.....	19
ადგილი ჰქონდა თუ არა ქართველების ეთნიკურ წმენდას?.....	19

პასუხობს თუ არა გადაწყვეტილება საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) იმ საკითხს, თუ ვინ დაიწყო
ომი?..... 20

რა ვალდებულება ეკისრება რუსეთს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე?..... 21

რა გავლენას მოახდენს ევროპულ სასამართლოში წარდგენილ ინდივიდუალურ საქმეებზე 2021 წლის
21 იანვრის გადაწყვეტილება?..... 22

დამატებით რომელ მუხლებზე დავობენ ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში მომჩივნები ევროპული
სასამართლოს წინაშე? 24

რა გავლენა შეიძლება იქონიოს ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებამ
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე?..... 25

რა ითქვა სამხედრო მოქმედებების აქტიური ფაზის (08-12.08.2008) პერიოდში იურისდიქციასთან
დაკავშირებით მოსამართლეთა ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებებში? 26

შესავალი

2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). აღნიშნული გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დროს მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევებს შეეხება.

2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების მნიშვნელობისა და ომის დროს რუსეთის მხრიდან ჩადენილი დარღვევების მასშტაბურობის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიმართ ინტერესი საკმაოდ მაღალი იყო. საზოგადოებასა და სხვადასხვა პროფესიულ წრეში არაერთი კითხვა წამოიჭრა გადაწყვეტილების ირგვლივ.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს, მოკლედ მიმოვიხილოთ გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტები და საზოგადოებას, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, მივანდოთ ინფორმაცია გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე.

ნაწილი 1



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების მიმოხილვა და გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტები საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)

2008 წლის 11 აგვისტოს საქართველომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საჩივარი წარადგინა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დროს მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევებს შეეხება.

2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, მუდმივი დაძაბულობისა და მრავალი ინციდენტის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო შეიარაღებული მოქმედებები დაიწყო. მოქმედებები, ძირითადად, მიმდინარეობდა ცხინვალის მიმდებარედ, სამხრეთ ოსეთსა და გორის მიდამოებში, რომელიც მდებარეობდა „ბუფერულ ზონაში“, საქართველოს უდავო ტერიტორიაზე. ომი რუსეთსა და საქართველოს შორის ხუთ დღეს გაგრძელდა.

2008 წლის 10 აგვისტოდან საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკან დაიხიეს და გამოვიდნენ ცხინვალის რეგიონისა და შემდეგ გორის რაიონიდან. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა თანდათანობით დაიპყრეს საქართველოს შემდეგი ტერიტორიები: (i) მთელი აფხაზეთი, ზემო აფხაზეთის ჩათვლით (ზემო კოდორის ხეობა), რომელიც ადრე საქართველოს კონტროლს ექვემდებარებოდა; (ii) მთელი სამხრეთ ოსეთი, ახალგორის რაიონის ჩათვლით, რომელიც ადრე საქართველოს კონტროლს ექვემდებარებოდა; ეს რაიონი ოკუპირებული იყო 2008 წლის 16 აგვისტოდან; (iii) სოფელი პერევი (სახხერის რაიონი), რომელიც მდებარეობს საქართველოს უდავო ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთის დასავლეთით; (iv) 2008 წლის 22 აგვისტოს, ქალაქ გორიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გასვლის შემდეგ, „ბუფერული ზონა“, მათ შორის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსაზღვრე ზონების ჩათვლით, რომლებიც საქართველოს უდავო ტერიტორიაზე მდებარეობს.

2008 წლის 12 აგვისტოს, ევროკავშირის ჩართულობით, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება. შეთანხმება გულისხმობდა, რომ მხარეებს თავი უნდა შეეკავებინათ ძალის გამოყენებისა და საბრძოლო მოქმედებებისგან, უზრუნველყვით ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა, საქართველოს სამხედრო ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამხედრო ბაზებში, ხოლო რუსეთის სამხედრო ძალები უნდა გასულიყვნენ იმ პოზიციებზე, რა პოზიციებზეც ომის დაწყებამდე იდგნენ.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების აღსრულების დაყოვნების გამო, 2008 წლის 8 სექტემბერს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ახალი შეთანხმება (სარკობი-მედვედევის შეთანხმება) გაფორმდა. 2008 წლის 10 ოქტომბერს რუსეთმა დაასრულა საკუთარი ჯარის გაყვანა ბუფერული

ზონებიდან, სოფელ პერევის გამოკლებით. ამ სოფლიდან რუსეთის ფედერაციამ ჯარი 2010 წლის 18 ოქტომბერს გაიყვანა (Georgia v. Russia (II), no. 38263/08, 21.01.2021, §§ 34-43).¹

რამდენად ვრცელდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია აქტიური საბრძოლო მოქმედებების ფაზის (2008 წლის 8-12 აგვისტო) განმავლობაში მომხდარ დარღვევებზე?

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საბრძოლო მოქმედებების აქტიური ფაზის დროს მომხდარ მოვლენებზე (08-12.08.2008) რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა იურისდიქცია, ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის (ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება) მიზნებიდან გამომდინარე.

რა არგუმენტებს დააყრდნობს სასამართლომ თავისი პოზიცია?

სასამართლომ მსჯელობა დაიწყო იმით, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უდავოდ განახორციელეს სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე (§ 109).

ეფექტიანი კონტროლის ტესტი - პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთში კონტროლის განხორციელების საკითხის გადაწყვეტა არსებითი არ იყო, რადგან შეტაკებების უმრავლესობა მოხდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მანამდე საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია იყო, კერძოდ, სამხრეთ ოსეთში, ცხინვალის მიმდებარედ არსებული ეთნიკურად ქართული სოფლები და ბუფერულ ზონაში მდებარე გორის ტერიტორია. რაც შეეხება უშუალოდ აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისას განხორციელებული სამხედრო ოპერაციების დროს, მათ შორის შეიარაღებული თავდასხმებისა და დაბომბვებისას, რთულია კონკრეტულ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის არსებობაზე საუბარი. შეიარაღებული დაპირისპირება და საბრძოლო მოქმედებები მხარეთა სამხედრო ძალებს შორის, რომელთა მიზანს ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება წარმოადგენდა, მიმდინარეობდა ქაოსის ფარგლებში, რაც იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონტროლის არარსებობას ნიშნავდა (§ 126). ეს გარემოება რელევანტური იყო ამ საქმისთვისაც, რადგან საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მანამდე საქართველოს კონტროლირებადი იყო.

¹ დოკუმენტის ტექსტში შემდგომ მითითებული პარაგრაფები მიემართება საქმეს: Georgia v. Russia (II), no. 38263/08, 21.01.2021.

სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილების და კონტროლის ტესტი - საქმეზე ბანკოვიჩი და სხვები ბელგიისა და სხვათა წინააღმდეგ² 2001 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიუთითა, რომ „შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქმედებით დაზარალებული ნებისმიერი პირი, სადაც არ უნდა განხორციელებულიყო ასეთი ქმედება, ან სადაც არ უნდა დამდგარიყო მისი შედეგები, ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის, კონვენციიდან არ გამომდინარეობს“ (§ 134). ბანკოვიჩის შემდგომ განხილულ საქმეებში, სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ინდივიდებზე სახელმწიფოს აგენტის უფლებამოსილებისა და კონტროლის დადგენისას, სასამართლოსთვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ამ პირებზე ფიზიკური ძალაუფლების და კონტროლის განხორციელება. სხვა საქმეებში, რომლებიც სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების/პოლიციის მიერ ცეცხლის გახსნას შეეხებოდა, სასამართლომ ასევე გამოიყენა სახელმწიფო წარმომადგენლის უფლებამოსილებისა და კონტროლის არსებობის ტესტი. ამ საქმეებზე³ მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ ისინი ეხებოდა იზოლირებულ და სპეციალურ შემთხვევებს, რომლებიც სიახლოვის ელემენტს (Element of Proximity) მოიცავდა. შესაბამისად, მოცემული საქმე განსხვავდებოდა ადრე განხილული საქმეებისგან, ვინაიდან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე მიმდინარე საომარი მოქმედებების აქტიური ფაზა მიზნად ისახავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს არმიის hors de combat მდგომარეობაში ჩაყენებასა და საქართველოს ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას, დაბომბვისა და საარტილერიო ცეცხლის გახსნის გზით (§§ 132-3). სასამართლოს განმარტებით, ქაოსის კონტექსტში შეიარაღებული დაპირისპირებისა და საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობა, რომელთა მიზანს ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება წარმოადგენდა, გამორიცხავდა არა მხოლოდ ეფექტიან კონტროლს, არამედ სახელმწიფოს აგენტის უფლებამოსილებასა და კონტროლს.

სასამართლოს მოსაზრებით, ამ დასკვნას ადასტურებდა კონვენციის წევრ სახელმწიფოთა პრაქტიკაც, რომლებიც საკუთარი ტერიტორიის გარეთ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულობისას არ ახორციელებენ კონვენციის მე-15 მუხლის (კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს) შესაბამისად გადახვევას. სასამართლოს აზრით, ეს, შესაძლოა, განიმარტოს იმგვარად, რომ ასეთ დროს წევრი სახელმწიფოები მოქმედებენ რწმენით, რომ ამგვარ შემთხვევებში ისინი არ ახორციელებენ იურისდიქციას კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის (§ 139).

ბოლოს, სასამართლომ დაამატა, რომ როგორც მომჩივანი სახელმწიფოსთვის, ისე მსხვერპლებისთვის, შესაძლოა, ეს მსჯელობა არადაამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს (§ 140). თუმცა,

² Banković and Others v. Belgium and Others ((dec.) [GC], no. 52207/996 12.12.2001.

³ იხ. მაგალითად: Al-Skeini and Others v. the United Kingdom [GC], no. 55721/07, 07.07.2011, § 136; M.N. and Others v. Belgium (dec.) [GC], no. 3599/18, 05.03.2020, § 105; Pad and Others v. Turkey (dec.), no. 60167/00, 28.06.2007; Andreou v. Turkey (dec.), no. 45653/99, 03.06.2008; Solomou and Others v. Turkey, no. 36832/97, 24.06.2008; Issa and Others v. Turkey, no. 31821/96, 16.11.2004.

მხედველობაში მიიღო რა სავარაუდო დაზარალებულთა და სადავო ინციდენტთა დიდი რაოდენობა, წარდგენილი მტკიცებულებების მასშტაბი, შესაბამისი გარემოებების დადგენის სირთულე და ის ფაქტი, რომ ამგვარი სიტუაციები, გარდა კონვენციისა, უპირატესად რეგულირდება სხვა სამართლებრივი ნორმებით (კერძოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული ან შეიარაღებული კონფლიქტის სამართლით), სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, სხვაგვარად განევითარებინა თავისი პრეცედენტული სამართალი (§ 141).

შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დროს (8-12 აგვისტო) მომხდარი მოვლენები არ ექცეოდა რუსეთის იურისდიქციის ფარგლებში და საჩივრის ეს ნაწილი დაუშვებლად ცნო.

რამდენად ვრცელდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდგომი პერიოდი) მომხდარ დარღვევებზე?

ევროპული სასამართლოს განმარტებით, რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია ვრცელდებოდა სამხრეთ ოსეთზე, აფხაზეთსა და ე.წ. „ბუფერულ ზონაზე“ 2008 წლის 12 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში, რუსული სამხედრო ძალების ოფიციალურ გაყვანამდე. რუსული სამხედრო ძალების ყოფნა ამ რეგიონებში და დე ფაქტო ხელისუფლების დაქვემდებარება რუსეთზე მიუთითებდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე ეფექტიანი კონტროლის არსებობას ამ პერიოდის შემდეგაც (§§ 161-175).

რა არგუმენტებს დააყრდნო სასამართლომ თავისი პოზიცია?

სასამართლოს განმარტებით, იმის გადასაწყვეტად, ექცეოდა თუ არა რუსეთის იურისდიქციის ქვეშ 2008 წლის 12 აგვისტოს შემდგომ მომხდარი დარღვევები, მას, პირველ რიგში, უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიებზე, ასევე ბუფერულ ზონაზე ეფექტიანი კონტროლის არსებობა. ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შეფასებისას სასამართლომ იმსჯელა 2 საკითხზე: 1) რუსული სამხედრო წარმომადგენლობის სიძლიერე აღნიშნულ ტერიტორიებზე; 2) რუსეთის მხრიდან ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერის აღმოჩენა ადგილობრივი დაქვემდებარებული ადმინისტრაციისთვის.

რუსული სამხედრო ძალების წარმომადგენლობა - რუსეთის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთსა და ასევე, ბუფერულ ზონაში 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის

შენწყვეტის შემდეგაც დასტურდებოდა რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ოდენობის განლაგება. ბუფერულ ზონასთან მიმართებით სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ სადავო პერიოდის განმავლობაში (12.08.08 – 10.10.08) რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ამ ზონების ოკუპაციაზე ნათლად მიუთითებდა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობის არსებობა შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, რასაც ადასტურებდა 2010 წლის თებერვალსა და აპრილში სეპარატისტულ რეგიონებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები სამხედრო ბაზების შექმნის თაობაზე (§ 165).

რუსეთის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა - სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ასევე, ადასტურებდა რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთისთვის აღმოჩენილ ფინანსურ, არაფინანსურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. აფხაზეთისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერაც სამხრეთ ოსეთისთვის გაწეული დახმარების მსგავსი იყო. მართალია, სასამართლო საბრძოლო მოქმედებებამდე არსებულ სიტუაციას არ აფასებდა, თუმცა მან მაინც გაამახვილა ყურადღება რუსეთსა და სეპარატისტულ რეჟიმებს შორის 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებულ სუბორდინაციულ ურთიერთობებზე, რომელიც, სასამართლოს აზრით, გაგრძელდა როგორც აქტიური საბრძოლო მოქმედებების, ასევე მათი შეწყვეტის შემდეგ (§§ 166-173).

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მცოცავ ანექსიაზეც და მიუთითა, რომ სეპარატისტული რეჟიმის რუსეთის იურისდიქციაში ინტეგრაციის პოლიტიკის ყველაზე ნათელი დემონსტრირება იყო „პასპორტიზაცია“ - რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის, ასევე სეპარატისტული მთავრობისა და სამხედრო ძალების დაკომპლექტება რუსეთის წარმომადგენლებისგან (§§ 169-170). საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებით, ცალსახად დასტურდებოდა ისიც, რომ ორივე სეპარატისტული რეგიონის გადარჩენა სრულად იყო დამოკიდებული რუსეთზე, რომელიც უზრუნველყოფდა ამ რეგიონების მხარდაჭერას ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო, პოლიტიკური და საზღვრის დაცვის კუთხით. ამასთან, თავად რუსეთიც არ უარყოფდა ამ მხარდაჭერის არსებობას, როდესაც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ღიად განაცხადა, რომ გააგრძელებდა მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთი ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს სამხრეთ ოსეთზე, აფხაზეთსა და ბუფერულ ზონაზე 2008 წლის 12 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში (ოკუპაციის ფაზა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ). რუსეთის სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების დამოკიდებულება რუსეთზე, რაც ცალსახად დასტურდებოდა მათ

შორის გაფორმებული თანამშრომლობისა და დახმარების შეთანხმებებით, მიუთითებდა, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს ამ პერიოდის შემდეგაც. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შემდგომ მომხდარი დარღვევები ხვდებოდა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ, კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (§§ 174-175).

რა უფლებების დარღვევა დაადგინა სასამართლომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მხრიდან?

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (12 აგვისტოს შემდეგ) რუსეთის ფედერაციამ დაარღვია კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი (საკუთრების უფლება) მუხლები.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, არსებული მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდებოდა, რომ საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და ე.წ. ბუფერულ ზონაში მდებარე ქართულ სოფლებში ადგილი ჰქონდა სახლების დაწვისა და ძარცვის სისტემურ კამპანიას. ამ კამპანიას თან ახლდა სამოქალაქო პირების სასტიკი მოპყრობა და სიკვდილით დასჯაც (§ 205). მართალია, ხშირ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის ძალები, მათ შორის არარეგულარული რაზმები, ჩადიდნენ დანაშაულებს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ რუსეთი ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს სამხრეთ ოსეთსა და ბუფერულ ზონაზე, მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სამხრეთ ოსეთის ძალების ქმედებებზე, თითოეულ ქმედებაზე დეტალური კონტროლის დადასტურების გარეშე (§§ 209-214).

მართალია, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ ოფიციალური ბრძანება, დაეცვათ მოსახლეობა და განეხორციელებინათ სამშვიდობო და სამართალდამცავი ოპერაციები რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე, რუსი უფლებამოსილი პირების მიერ ადგილზე მიღებული ზომები, უფლებების დარღვევის პრევენციისთვის, არასაკმარისი აღმოჩნდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული შეაფასა, როგორც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების უმოქმედობა (official tolerance), რომელსაც ასევე ადასტურებდა ის ფაქტი, რომ რუსეთს ამ დარღვევებზე ეფექტიანი გამოძიება არ უწარმოებია (§§ 218-219). შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო პირების მკვლელობა, სამხრეთ ოსეთსა და „ბუფერულ ზონაში“ მდებარე ქართულ სოფლებში სახლების ძარცვა და გადაწვა წარმოადგენდა ადმინისტრაციულ

პრაქტიკას ევროპული კონვენციის მე-2, მე-8 და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საწინააღმდეგოდ, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდებოდა. ამასთან, ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების სიმძიმის გათვალისწინებით, რაც კვალიფიცირდება, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადმინისტრაციული პრაქტიკა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. ამ კუთხით სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა მსხვერპლების მხრიდან განცდილ ტანჯვასა და ტკივილს, რომლებიც მსგავს მოპყრობას მათი ეთნიკური კუთვნილებიდან გამომდინარე ექვემდებარებოდნენ (§ 220).

რა უფლებების დარღვევა დაადგინა სასამართლომ სამოქალაქო ოცვების მიმართ?

სამოქალაქო ტყვეებთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამხრეთ ოსეთის ძალებმა სამოქალაქო ტყვეები უკანონოდ დააკავეს და მათ მიმართ განახორციელეს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევა) მუხლების საწინააღმდეგოდ, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს 160 მოქალაქე, რომელთა უმრავლესობაც იყო ასაკოვანი და მათი ერთი მესამედი ქალი, სამხრეთ ოსეთის ძალებმა დააკავეს და ჰყავდათ პატიმრობაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის სარდაფში, ქალაქ ცხინვალში, 2008 წლის 10-დან 27 აგვისტომდე პერიოდში. იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი სამოქალაქოების უმეტესობა დააკავეს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, ისინი მოექცნენ რუსეთის იურისდიქციის ქვეშ (§ 239). პატიმრობაში ყოფნის დროს ქალები და კაცები ერთად იყვნენ განთავსებული. საპატიმროში არ იყო საკმარისი საწოლები, არ იყო ხელმისაწვდომი ჯანმრთელობისა და ელემენტარული სანიტარიული პირობები. არსებული მასალებით დასტურდებოდა, რომ დაკავებულთა ნაწილი დაექვემდებარა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ მოპყრობას სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო წარმომადგენლების მხრიდან იზოლატორში მიყვანისას ან შემდგომ. დაკავებულებს, ასევე, აიძულებდნენ, დაესუფთავებინათ ცხინვალის ქუჩები (§§ 244-245).

სხვადასხვა ანგარიშითა და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა რუსული ძალების ყოფნა იზოლატორის შენობაში, სწორედ მათ დაკითხეს დაკავებულთა ნაწილი. სასამართლოს განმარტებით, რუსეთის სამხედრო ძალების პირდაპირი ჩართულობა სამოქალაქო პირთა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში ცხადად არ დასტურდებოდა, თუმცა, რადგან აღნიშნული პირები რუსეთის

იურისდიქციის ქვეშ ექცეოდნენ, რუსეთი იყო პასუხისმგებელი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებზეც (§§ 247-52). ამასთან, ადგილზე ყოფნის მიუხედავად, რუსებმა არ მიიღეს სათანადო ზომები ამგვარი მოპყრობის პრევენციისთვის. სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის ფედერაციის არგუმენტი, რომ სამოქალაქო პირთა დატყვევება განხორციელდა მათივე უსაფრთხოების მიზნით და განმარტა, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა დაკავების საფუძველს კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით. დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავებულებს არ განუმარტავდნენ დაკავების მიზეზებს (§§ 253-56).

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ 160 სამოქალაქო ტყვის დაკავების პირობები და მათ მიმართ ჩადენილი შეურაცხმყოფელი ქმედებები უტოლდებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ამასთან, სამოქალაქო პირთა ამგვარი მოპყრობა და თვითნებური დაკავება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების საწინააღმდეგოდ.

რა უფლების დარღვევა დაადგინა სასამართლომ სამხედრო ტყვეების მიმართ?

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ქართველი სამხედრო ტყვეების წამებას კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ.

სამხრეთ ოსეთის ძალებმა ქართველი სამხედრო ტყვეები დააკავეს ცხინვალში 2008 წლის 8-17 აგვისტოს პერიოდში. იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო ტყვეების დაკავება გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც, ისინი ექცეოდნენ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ (§§ 268-270). სასამართლოს განმარტებით, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებისა და სამხედრო ტყვეების ჩვენებებზე დაყრდნობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდებოდა, რომ ქართველი სამხედრო ტყვეები სამხრეთ ოსეთის ძალების მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ (§§ 272-275). სასამართლოს მოსაზრებით, ტყვეების მიმართ განხორციელებულმა მოპყრობამ გამოიწვია ძლიერი ტკივილი და ტანჯვა და, შესაბამისად, გაუტოლდა წამებას. ჩადენილი ქმედებები განსაკუთრებით სერიოზული იყო იმის გათვალისწინებით, რომ ისინი განხორციელდა სამხედრო ტყვეების მიმართ, რომელთაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაკუთრებული დაცული სტატუსი აქვთ. ამის გათვალისწინებით, ადგილი ჰქონდა წამების ადმინისტრაციულ პრაქტიკას (§ 278).

სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ, მართალია, ქართველ სამხედრო ტყვეთა წამების ყველა შემთხვევაში რუსეთის შეიარაღებული ძალების პირდაპირი მონაწილეობა არ იკვეთებოდა, მაგრამ

რადგან რუსეთი ახორციელებდა სამხრეთ ოსეთის ძალებზე მკაცრ კონტროლს, სამხედრო ტყვეები მოექცნენ რუსეთის იურისდიქციის ქვეშ. შესაბამისად, რუსეთს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სამხრეთ ოსეთის ძალების ქმედებებზე, თითოეულ ქმედებაზე დეტალური კონტროლის დადასტურების გარეშეც. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები ხშირად ადგილზეც იმყოფებოდნენ, ისინი არ იღებდნენ სათანადო ზომებს წამების აღსაკვეთად (§§ 276-277).

იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებით არ დასტურდებოდა აფხაზეთში ქართველი სამხედრო ტყვეების დაკავების ფაქტი, სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია, გამოეკვლია ის ფაქტი, ნამდვილად დაექვემდებარნენ თუ არა არასათანადო მოპყრობას სამხედრო ტყვეები ამ რეგიონში (§ 270).

რა არგუმენტებზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ მიმოსვლის თავისუფლების დარღვევა?

ევროპული სასამართლოს განმარტებით, რუსეთმა დაარღვია საქართველოს მოქალაქეების მიმოსვლის თავისუფლება კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი, რომელმაც კონფლიქტის პერიოდში მათი საცხოვრებელი სახლები დატოვა, ცხოვრებას აგრძელებდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ არ ეძლეოდათ საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა. ის ფაქტი, რომ ეთნიკურად ქართველების სახლები მდებარეობდა რუსეთის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე და რუსეთი ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა ადმინისტრაციულ საზღვარზე, სასამართლოსთვის საკმარისი აღმოჩნდა, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის იურისდიქციული კავშირის დასადგენად (§§ 292-95).

სასამართლოს განმარტებით, საკუთარ სახლებში დაბრუნების შეუძლებლობა წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რომელიც ქართველების მიმართ კვლავ გრძელდებოდა 2018 წლის 23 მაისამდე (სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომის თარიღი, როდესაც მხარეებმა დამატებითი არგუმენტაციები წარადგინეს). შესაბამისად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას და ასევე, რუსეთის ფედერაციას, როგორც ამ ტერიტორიებზე ეფექტიანი კონტროლის

განმახორციელებელ სახელმწიფოს, კონვენციით ეკისრებოდა ვალდებულება, ქართული წარმოშობის მცხოვრებლებისთვის სახლებში დაბრუნების უფლება მიეცა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (მიმოსვლის თავისუფლება) შესაბამისად (§§ 296-301).

რა უფლების დარღვევა დაადგინა სასამართლომ რუსეთის ფედერაციის მიმართ 8-12 აგვისტოს პერიოდთან დაკავშირებით?

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) მოთხოვნების მიუხედავად, რუსეთმა არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების ხელყოფის იმ შემთხვევებზე, რომელიც მოხდა საომარი მოქმედებების აქტიურ ფაზაში (8-12 აგვისტო).

ევროპული სასამართლოს განმარტებით, აქტიური საბრძოლო მოქმედებების დროს მომხდარი მოვლენები არ ექცეოდა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ. თუმცა, საქმეზე გუბელიურთლუ და სხვები კვიპროსისა და თურქეთის წინააღმდეგ⁴ სასამართლომ განმარტა, რომ გამოძიების ჩატარების ვალდებულებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, დადგინდეს იურისდიქციული კავშირი, თუ წევრმა სახელმწიფომ დაიწყო გამოძიება ან სამართალწარმოება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად იმ პირის გარდაცვალების ფაქტზე, რომელიც მისი იურისდიქციის გარეთ მოხდა, ან არსებობდა „განსაკუთრებული გარემოებები“. ეს „განსაკუთრებული გარემოებები“ დამოკიდებულია თითოეული საქმის კონკრეტულ ასპექტებზე და შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა საქმესთან მიმართებით (§ 330).

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტიური საომარი მოქმედებების დროს რუსეთის მხრიდან ომის დანაშაულის ჩადენის შესახებ არსებული ბრალდებების გათვალისწინებით, რუსეთს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ქვეყნის შიდა სამართლის შესაბამისად ეკისრებოდა გამოძიების ჩატარების ვალდებულება. რუსეთის საგამოძიებო ორგანოებმა მართლაც გადადგეს ნაბიჯები ამ ბრალდებების გამოსაძიებლად. სასამართლოს განმარტებით, მართალია, საომარი მოქმედებების აქტიურ ფაზაში მომხდარი მოვლენები არ ექცევა რუსეთის იურისდიქციაში, თუმცა, აქტიური საომარი მოქმედებების დასრულებიდან მალევე, რუსეთმა დაამყარა ეფექტიანი კონტროლი აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ რუს მომსახურე პერსონალს შორის სავარაუდო ეჭვმიტანილები იმყოფებოდნენ ან რუსეთის ტერიტორიაზე ან რუსეთის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე, საქართველო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჩაეტარებინა ადეკვატური

⁴ Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey, no. 36925/07, 29.01.2019.

და ეფექტიანი გამოძიება (§ 331). შესაბამისად, საქმეში არსებული განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა საჩივრის იმ ნაწილზე, რომელიც აქტიური საომარი მოქმედებების დროს სიცოცხლის უფლების პროცედურული ნაწილის დარღვევას შეეხებოდა (§ 332).

აქტიური საომარი მოქმედებების დროს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების სერიოზულობიდან, ასევე ოკუპაციის პერიოდში ჩადენილი დარღვევების მასშტაბისა და ბუნებიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო არც დროული, არც ეფექტიანი და არც დამოუკიდებელი (§ 336). ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლების) პროცედურული ნაწილის დარღვევა, აქტიური საომარი მოქმედებების დროს ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებლობის გამო.

რომელი მუხლის მიმართ არ დადგინდა დარღვევა?

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევა.

საქართველო ამტკიცებდა, რომ რუსული ჯარისა და სეპარატისტული ხელისუფლების მიერ დაბომბვა და ძალადობის სხვა აქტები, მათ შორის, საჯარო სკოლებისა და ბიბლიოთეკების ძარცვა და განადგურება, ასევე, ეთნიკურად ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაშინება, უტოლდებოდა განათლების უფლების დარღვევას, რადგან მოსწავლეებმა ვეღარ შეძლეს სწავლის გაგრძელება (§ 303). სასამართლომ განმარტა, რომ არ ფლობდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად საჭირო მტკიცებულებებს განათლების უფლების დარღვევის დასადგენად (§§ 312-4).

რომელი მუხლის განხილვა არ ჩაითვალა საჭიროდ?

წარდგენილ საჩივარში საქართველო ასევე დავობდა კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვევაზე, განმარტავდა რა, რომ მსხვერპლებს არ ჰქონდათ ეფექტიანი საშუალებები დარღვეული უფლების აღსადგენად. ვინაიდან ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლების ხელყოფის, წამების, უკანონო დაკავების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, საკუთრების

უფლების ხელყოფისა და მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის ადმინისტრაციულ პრაქტიკას, სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ამ მუხლის დამატებით განხილვა (§ 340).

რას მოიცავს კონვენციის 38-ე მუხლი და რა თქვა სასამართლომ ამ საკითხზე?

კონვენციის 38-ე მუხლის (საქმის განხილვა) თანახმად, საქმის განხილვისას საქმის გარემოებათა დასადგენად, სახელმწიფომ სასამართლო უნდა უზრუნველყოს ყველა აუცილებელი საშუალებით. ამ ვალდებულების მიუხედავად, რუსეთმა სასამართლოს არ წარუდგინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ შორის, საბრძოლო ანგარიშები, რის გამოც სასამართლომ თავისი ინიციატივით დაადგინა რუსეთის მხრიდან ამ მუხლის დარღვევა (§§ 342-436).

რა თქვა სასამართლომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად რუსეთისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების დაკისრებასთან დაკავშირებით?

კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის დადგენისას, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს. სამართლიანი დაკმაყოფილება მოიცავს, როგორც მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების (მაგალითად, ადვოკატის ხარჯები) ანაზღაურებას. კონვენციის 41-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფოთაშორის საქმეებშიც. სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლო სამ კრიტერიუმს აფასებს: 1) მომჩივანი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი საჩივრის ტიპი, რომელიც უნდა შეეხებოდეს მისი მოქალაქეების ძირითადი უფლებების დარღვევას; 2) მსხვერპლთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა; 3) სამართალწარმოების დაწყების ძირითადი მიზანი. შესაბამისად, სახელმწიფოთაშორის საჩივარში სამართლიანი დაკმაყოფილება მოითხოვება არა სახელმწიფოს უფლებათა დარღვევების საკომპენსაციოდ, არამედ ინდივიდუალური მსხვერპლების სასარგებლოდ.⁵

საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II), საქართველომ, როგორც მომჩივანმა სახელმწიფომ, მოითხოვა სამართლიანი დაკმაყოფილება რუსეთის მხრიდან ჩადენილი დარღვევებისთვის. აღნიშნულზე სასამართლომ განმარტა, რომ ეს საკითხი მზად არ იყო გადასაწყვეტად. შესაბამისად, მან

⁵ Cyprus v. Turkey (just satisfaction), [GC], no. 25781/94, 12.05.2014, § 45.

მხარეებს - საქართველოსა და რუსეთს მოუწოდა, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 12 თვის განმავლობაში წერილობით წარადგინონ კომენტარები ამ საკითხზე და სასამართლოს შეატყობინონ მხარეებს შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ 12 თვეში მხარეები ვერ მიაღწევნ შეთანხმებას, მათ მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებების საფუძველზე, სასამართლო თავად იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით (§§ 347-351).

სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხზე სასამართლომ, ასევე, იმსჯელა საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I), რომელიც 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციას შეეხებოდა. ამ საქმეზე სასამართლომ 2014 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებაში დაადგინა რუსეთის პასუხისმგებლობა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევისთვის, ხოლო სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი 1 წლით გადადო განსახილველად. ამ ვადაში მხარეებს უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკებები და სასამართლოსთვის წერილობით შეეტყობინებინათ მიღწეული შედეგის შესახებ.⁶ რადგან მხარეებს შორის მოლაპარაკება ვერ შედგა, სასამართლომ ამ საკითხის განხილვა განაახლა და 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით,⁷ რუსეთს საქართველოს მოქალაქეების სასარგებლოდ 10 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. პირველი სახელმწიფოთაშორისი საქმის მსგავსად, თუ მეორე სახელმწიფოთაშორისი საქმის ფარგლებშიც ვერ შეთანხმდებიან მხარეები, სასამართლო თავად იმსჯელებს სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხზე.

⁶ Georgia v. Russia (I), [GC], no. 13255/07, 03.07.2014, §239-240.

⁷ Georgia v. Russia (I), [GC], no. 13255/07, 31.01.2019.

ნაწილი 2



ხშირად დასმული კითხვები საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

რა მნიშვნელობა აქვს სტრასბურგის ამ გადაწყვეტილებას?

საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება არის უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი უშუალოდ ომის მსხვერპლებისთვის. 2008 წლის აგვისტოს ომიდან 12 წლის შემდეგ ამ გადაწყვეტილებით საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მსხვერპლთა უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობა სწორედ რუსეთს ეკისრება. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია მსხვერპლთა დარღვეული უფლებების და სამართლიანობის აღდგენისთვის. ამასთან, წინამდებარე გადაწყვეტილებით სამართლებრივად დადგინდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის ფაქტი. სასამართლო არ შემოიფარგლა მხოლოდ 2008 წლის 12 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში რუსეთის პასუხისმგებლობის დადგენით და დამატებით განმარტა, რომ ადგილი აქვს მცოცავ ოკუპაციას, რომლის შედეგებისთვის პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება, როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს. დამატებით, სასამართლომ ხაზი გაუსვა დარღვევების განგრძობად ხასიათს, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დევნილების უკან დაბრუნება რუსეთის ვალდებულებას წარმოადგენს. 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით დადგინდა გარემოებები მნიშვნელოვნად გააძლიერებს და გაამყარებს საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო დონეზე საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციასთან მიმართებით.

მოითხოვა თუ არა საქართველომ დროებითი ღონისძიება?

2008 წლის 11 აგვისტოს საქართველომ „სასამართლოს წესების“ 39-ე წესის საფუძველზე ევროპულ სასამართლოს დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა. კერძოდ, საქართველომ მოითხოვა, რომ სასამართლოს მიეთითებინა რუსეთისთვის, „თავი შეეკავებინა ნებისმიერი ისეთი ღონისძიების განხორციელებისგან, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექმნა სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის და მიეცა საშუალება საქართველოს საგანგებო ძალებისთვის, ჰუმანიტარული დერეფნის გავლით, განეხორციელებინათ ყველა საჭირო ღონისძიება დარჩენილი დაშავებული სამოქალაქო მოსახლეობისა და ჯარისკაცების დასახმარებლად.“⁸ დროებითი ღონისძიების მოთხოვნა სახელმწიფოთაშორისი საჩივრის ფარგლებში გაკეთდა სიცოცხლის უფლების, არასათანადო მოპყრობის და საკუთრების უფლების დარღვევებთან მიმართებით.⁹

⁸ European Court of Human Rights grants request for interim measures, Press release issued by the Registrar, 12.08.2008, <http://hudoc.echr.-coe.int/eng-press?i=003-2458412-2647173>, [01.02.2021].

⁹ იქვე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო დროებით ღონისძიებას იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გამოუსწორებელი ზიანის დადგომის გარდაუვალი საფრთხე¹⁰. დროებითი ღონისძიების შესრულება სავალდებულოა. მისი შეუსრულებლობა სასამართლოს მიერ მომჩივნის საჩივრის ეფექტიან განხილვასა და საჩივრის წარდგენის უფლების ეფექტიან განხორციელებაში ხელშეშლად ითვლება.¹¹

2008 წლის 12 აგვისტოს სასამართლომ დროებითი ღონისძიებით მოუწოდა საქართველოს და რუსეთს შეესრულებინათ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, განსაკუთრებით, კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების მიმართ.¹²

საქართველოს მიერ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიების დაკმაყოფილებით, სასამართლო მოსახლეობის დაცვის მიზნით პირველად ჩაერია მიმდინარე საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებულ საქმეში და ამ გზით შექმნა პრეცედენტი¹³. თუმცა 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის საკითხი, რამდენად შეასრულეს მხარეებმა დროებითი ღონისძიება და კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები.

რას ნიშნავს ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენა სასამართლოს მიერ?

ადმინისტრაციული პრაქტიკის მნიშვნელობა

ადმინისტრაციული პრაქტიკა მოიცავს ორ ელემენტს: „ქმედების განმეორებად ხასიათს“ და „ოფიციალურ შემწყნარებლობას“ (§ 102).

ქმედების განმეორებადობა დასტურდება, როდესაც სახეზეა იდენტური ან ანალოგიური დარღვევების აკუმულაცია, რომელიც არის იმდენად მრავლობითი და ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მიუთითებს მის სისტემურობაზე და არა იზოლირებული ინციდენტის არსებობაზე. არსებული კრიტერიუმი არ განსაზღვრავს, უშუალოდ რამდენი ინციდენტი უნდა მოხდეს, რათა ჩაითვალოს, რომ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას. ამ საკითხს სასამართლო თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით წყვეტს. ზოგადად, კონვენციის საწინააღმდეგო ერთი ქმედე-

¹⁰ Mamatkulov and Askarov v. Turkey, nos. 46827/99; 46951/99, 04.02.2005, § 104.

¹¹ იქვე, § 128.

¹² იქვე.

¹³ ნაკაშიძე გ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახალ რეალობაში: აქვს თუ არა სასამართლოს შეიარაღებულ კონფლიქტებზე რეაგირებისთვის საკმარისი პროცედურული ინფრასტრუქტურა? საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა N 2/2020, 2020, 78-9, ხელმისაწვდომია: [https://constcourt.ge/files/7/JCL-GEO-Vol-2-\(2020\)/JCL-2020-Vol.2-GEO-61-89.pdf](https://constcourt.ge/files/7/JCL-GEO-Vol-2-(2020)/JCL-2020-Vol.2-GEO-61-89.pdf), [01.02.2020], ციტი. Haeck Y., Herrera C.B., 'The Use of Interim Measures Issued by the European Court of Human Rights in Times of War or Internal Conflict' in Antoine Buyse (ed), Margins of Conflict: The ECHR and Transitions to and from Armed Conflict, Intersentia, 2011, 97-8.

ბაც საკმარისია დარღვევის დასადგენად, თუმცა დარღვევა მიიჩნევა უფრო სერიოზულად, როდესაც ის არის არა იზოლირებული შემთხვევა, არამედ წარმოადგენს მთელი რიგი მსგავსი მოვლენების ნაწილს, რომლებიც ქმედებების სისტემურობაზე მიუთითებს.¹⁴

ოფიციალური ტოლერანტობის ქვეშ იგულისხმება, რომ არაკანონიერი ქმედებები არის შეწყნარებული პასუხისმგებელ პირთა ხელმძღვანელების მხრიდან, რომლებიც ასეთი ქმედებების ჩადენის შესახებ ცოდნის მიუხედავად, დაუყოვნებლად არ ატარებენ ღონისძიებებს, რათა დასაჯონ ისინი ან მოახდინონ ასეთი დარღვევების განმეორებითი ჩადენის პრევენცია; ან ხელისუფლების უფრო მაღალი წარმომადგენლები არაერთი დარღვევის მიმართ ავლენენ გულგრილობას ადეკვატური გამოძიების ჩატარებაზე უარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების შედეგს მომხდარი ფაქტების დადასტურება ან უარყოფა უნდა წარმოადგენდეს; ან სასამართლო პროცესებზე ასეთი საჩივრების სამართლიანი განხილვა უარყოფილია. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს მაღალი დონის წარმომადგენლები მკაცრად პასუხისმგებელნი არიან მათი სუბორდინაციის ქვეშ მყოფი პირების ქმედებებზე და ევალებათ, რომ თავიანთ ხელქვეითებს დააკისრონ ვალდებულებები და არ ამოეფარონ მათ უუნარობას. სასამართლოს განმარტებით, სტრუქტურულად რაც უფრო მაღალი ორგანო იწყნარებს ამ ქმედებებს, დარღვევის ხასიათი მით უფრო სერიოზულია.¹⁵

რამდენად მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის წესი ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენის შემთხვევაში?

ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობას არსებითი მნიშვნელობა აქვს შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის წესის მოქმედებასთან დაკავშირებით. სასამართლომ არაერთ საქმეში იმსჯელა ამ საკითხზე. საქმეში ირლანდია გაერთიანებული სახელმწიფოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც მომჩივანი სახელმწიფო დავობს პრაქტიკაზე, როგორც ასეთზე, მისი განგრძობადობის ან რეციდივის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ არ ითხოვს სასამართლოსგან, მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საქმეზე ასეთი პრაქტიკის დასადასტურებლად ან საილუსტრაციოდ.¹⁶ საქმეში საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (I) სასამართლომ მიუთითა, რომ შიდა საშუალების ამოწურვის წესი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა ადმინისტრაციული პრაქტიკა და პრაქტიკა ისეთი ხასიათისაა, რომ სამართალწარმოებას უშედეგოს და არაეფექტიანს ხდის.

¹⁴ Georgia v. Russia (I), [GC], no. 13255/07, 03.07.2014; Ireland v. the United Kingdom, § 159, Cyprus v. Turkey [GC], no. 25781/94, 10.05.2001, § 115.

¹⁵ Georgia v. Russia (I), [GC], no. 13255/07, 03.07.2014; France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey, nos. 9940-9944/82, Commission decision of 6 December 1983, Decisions and Reports 35, pp. 163-64, § 19; Ireland v. the United Kingdom, Series A no. 25, 18.01.1978, § 159.

¹⁶ Ireland v. the United Kingdom, Series A no. 25, 18.01.1978, § 159.

ქვეყნის შიგნით არსებული საშუალებების ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის საკითხი, შესაძლოა, წარმოადგენდეს ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის დამადასტურებელ დამატებით მტკიცებულებას.¹⁷ შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობაზე მსჯელობისას, სასამართლომ შეიძლება მხედველობაში მიიღოს ეროვნულ დონეზე არსებული საშუალებების ეფექტიანობის საკითხი.

რას ნიშნავს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენა?

სასამართლომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადგინა ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა სიცოცხლის უფლების, არასათანადო მოპყრობის, უკანონო დაკავების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, საკუთრების უფლების და მიმოსვლის თავისუფლებასთან მიმართებით (ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-8, პირველი დამატებითი ოქმის პირველ და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლები).

ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენა ნიშნავს იმას, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები და დარღვევები იყო არა იზოლირებული და ერთჯერადი ხასიათის, არამედ ამას სისტემური და ფართომასშტაბიანი ხასიათი ჰქონდა. ამასთან, რუსეთი ახორციელებდა ოფიციალურ შემწყნარებლობას ამ აქტების მიმართ.¹⁸ კერძოდ, ადგილზე ყოფნის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციამ არ მიიღო სათანადო ზომები მსგავსი დარღვევების აღსაკვეთად და პრევენციისთვის და ასევე, არ გამოიძია ჩადენილი დარღვევები.

რატომ არ იღავა სახელმწიფო ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევაზე?

სახელმწიფოთაშორის საჩივარში რუსეთის მხრიდან მე-14 მუხლის დარღვევა სადავო საკითხი არ იყო. აღნიშნული წარმოადგენდა სახელმწიფოს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან 2008 წლის 12 აგვისტოს, საქართველომ ასევე მიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ). ამ სასამართლოს წინაშე სახელმწიფო დავობდა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1965 წლის საერთაშორისო კონვენციის (CERD) დარღვევის თაობაზე.¹⁹

ევროპული კონვენციის 35 (2) (ბ) მუხლის თანახმად, სასამართლო საჩივარს არ მიიღებს, თუ ის არსებითად იგივეა, რაც სასამართლოს მიერ უკვე განხილული საჩივარი, ან უკვე გადაეცა მოკვლევის

¹⁷ Cyprus v. Turkey [GC], no. 25781/94, 10.05.2001, § 87.

¹⁸ იხ. ასევე Georgia v. Russia (I), [GC], no. 13255/07, 03.07.2014, § 124.

¹⁹ იხ. Application of the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (Georgia v. Russian Federation), Preliminary Objections, Judgment, I.C.J. Reports 2011.

ან მოგვარების საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტანციას და არ შეიცავს ახალ შესატყვის ფაქტობრივ გარემოებებს.

შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე დავა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CERD) დარღვევას შეეხებოდა, სახელმწიფომ ევროპული სასამართლოს წინაშე დისკრიმინაციის შესახებ დავა აღარ აწარმოა, რათა საჩივარს დაექმაცოფილებინა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მოთხოვნები.

ადგილი ჰქონდა თუ არა ქართველების ეთნიკურ წმენდას?

მომჩივანი სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ დაიწყო ეთნიკური წმენდის კამპანია, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდა. აღნიშნული კამპანია მხოლოდ მას შემდეგ დასრულდა, რაც სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები გამოაძევეს თავიანთი სახლებიდან, სოფლები კი გაძარცვეს და გაანადგურეს (§§ 177, 284). ევროპული სასამართლოს წინაშე დაკითხულმა ევროპის საბჭოს ყოფილმა წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სამხრეთ ოსეთის ძალების მხრიდან ადგილი ჰქონდა ქართული სოფლების ეთნიკურ წმენდას (§§ 191, 205).

საერთაშორისო სამართლით ეთნიკური წმენდა არ არის ცალკე დანაშაულად აღიარებული, შესაბამისად, არ არსებობს მისი ზუსტი დეფინიცია ან იმ ქმედებების ჩამონათვალი, რომელიც იძლევა დარღვევის ეთნიკურ წმენდად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას. გაეროს ექსპერტთა კომისიამ²⁰ ეთნიკური წმენდა შემდეგნაირად განმარტა: ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ძალადობრივი მეთოდებით კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიებიდან სხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მშვიდობიანი მოსახლეობის განდევნას. სამოქალაქო მოსახლეობის გასაძეველად გამოყენებული იძულებითი ღონისძიებები მოიცავს მკვლელობას, წამებას, უკანონო დაკავებას და დაპატიმრებას, სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გაყვანას, გადაადგილებას და დეპორტაციას, ქონების განადგურებას, გაძარცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას. იქიდან გამომდინარე, რომ ეთნიკური წმენდა კონვენციით განსაზღვრულ უფლებებში მოცემული არ არის, სასამართლო უშუალოდ ვერ დაადგენდა რუსეთის მხრიდან ეთნიკური წმენდის ჩადენას. თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების კონკრეტული განმარტებები იძლევა დარღვევის

²⁰ United Nations, Office on Genocide Prevention and the Responsibility to Protect, definitions. <https://www.un.org/en/genocideprevention/ethnic-cleansing.shtml>

ეთნიკურ წმენდად კვალიფიკაციის შესაძლებლობას და ექცევა გაეროს ექსპერტთა კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ეთნიკური წმენდის დეფინიციაში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო პირთა მკვლელობა, ქართულ სოფლებში მათი ქონების ძარცვა და გადაწვა, რომელიც დაზარალებულების მიმართ მათი ეთნიკურობის გამო ხორციელდებოდა, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას უტოლდებოდა. გარდა ამისა, სასამართლომ განმარტა, რომ ეთნიკურად ქართველების უმრავლესობას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება დღემდე არ აძლევს სახლებში დაბრუნების უფლებას.

მოსამართლე ქანტურიამ თავის განსხვავებულ აზრში აღნიშნა, რომ, როგორც სასამართლომ დაადგინა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში საკუთარ სახლებში ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის დაბრუნების შეუძლებლობა წარმოადგენს ამ რეგიონებიდან საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური წმენდის განგრძობადი სიტუაციის აღიარებას სასამართლოს მხრიდან.²¹

შესაბამისად, ევროპული სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის მხრიდან ჩადენილი უფლებების დარღვევების დადგენა უტოლდება ქართველების მიმართ ეთნიკური წმენდის განხორციელებას.

პასუხობს თუ არა გადაწყვეტილება საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) იმ საკითხს, თუ ვინ დაიწყო ომი?

ევროპული სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომლებიც ეხება ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას. სახელმწიფოებს შორის მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ ვინ იყო კონფლიქტის მაპროვოცირებელი ან ვისი პასუხისმგებლობაა ომის დაწყება.

ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანა შეიძლება კონვენციის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც დაირღვა მომჩივნის უფლებები. ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ როგორც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე სახელმწიფოებს. კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, კონვენციის ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს უფლება, მიმართოს ევროპულ სასამართლოს კონვენციის სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის მიერ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესაძლო დარღვევის შესახებ. ერთი

²¹ იხ. მოსამართლე ქანტურიას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, § 3.

სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სახელმწიფო არ დავობს მისი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, უფლებების დარღვევაზე. ასეთი დავის შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული კონკრეტული ადამიანის/ადამიანების უფლებების დარღვევის საკითხებს. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, თუ რომელმა სახელმწიფომ დაიწყო ომი.

რა ვალდებულება ეკისრება რუსეთს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე?

ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოებისთვის სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა.

2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლოა, სახელმწიფოს დაეკისროს როგორც ინდივიდუალური, ასევე ზოგადი ღონისძიებების მიღება. ინდივიდუალური ღონისძიებების მიზანს წარმოადგენს მომჩივნებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამართლიანი დაკმაყოფილების სახით და ასევე სხვა ნებისმიერი ზომის გატარება, რომელიც აუცილებელია ამ პირის დარღვეული უფლების აღსადგენად. ზოგადი ღონისძიებები კი მიზნად ისახავს სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ზომის მიღებას შემდგომში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფომ მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ უნდა განსაზღვროს ის ინდივიდუალური თუ ზოგადი ღონისძიებები, რომელიც ეროვნულ დონეზე უნდა გატარდეს გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულების მიზნით.

2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე ნათელია რამდენიმე ის ღონისძიება, რომელიც რუსეთმა უნდა შეასრულოს. კერძოდ, რუსეთს, როგორც ოკუპირებულ რეგიონებზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს, ეკისრება ვალდებულება, ქართული წარმომავლობის

მოსახლეობას მისცეს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება (იხ. § 298).²² ამასთან, რუსეთი ვალდებულია, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება როგორც 2008 წლის 8-12 აგვისტოს განმავლობაში, ასევე შემდგომ პერიოდში მომხდარი სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რუსეთს ვალდებულება აქვს, გამოიძიოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, წამების, უკანონო დაკავებისა და უფლებათა დარღვევების ის შემთხვევები, რომლებიც 2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ განხორციელდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთაშორის საჩივარში ჯერ არ გადაწყვეტილა სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი, რუსეთს ამ ეტაპზე კომპენსაციის გადახდის ვალდებულება არ გააჩნია.

რა გავლენას მოახდენს ევროპულ სასამართლოში წარდგენილ ინდივიდუალურ საჩივრებზე 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება?

1. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრები

2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დარღვევებზე ევროპულ სასამართლოში შეტანილი იყო როგორც სახელმწიფოთაშორისი, ასევე ინდივიდუალური საჩივრები, რომლის ფარგლებში მომჩივნები ინდივიდუალურად ედავებიან რუსეთს თავისი უფლებების დარღვევას. სასამართლოში ასობით მოქალაქეს აქვს საჩივარი შეტანილი, რომელიც სხვადასხვა უფლების დარღვევას შეეხება, მათ შორის სიცოცხლის უფლება (კონვენციის მე-2 მუხლი), წამების აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი), მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა (კონვენციის მე-4 მუხლი), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (კონვენციის მე-5 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (კონვენციის მე-13 მუხლი), დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი), საკუთრების უფლება (კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი) და მიმოსვლის თავისუფლება (კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, როდესაც ერთი და იმავე საკითხთან დაკავშირებით წარდგენილია სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური საჩივრები, სასამართლო, პირველ რიგში, განიხილავს სახელმწიფოთა შორის საჩივარს და მხოლოდ აღნიშნულ საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ განაახლებს ინდივიდუალური საჩივრების განხილვას. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა შორის საჩივარზე სასამართლომ გადაწყვეტილება უკვე გამოიტანა, სასამართლო ინ-

²² იხ. მოსამართლე ქანტურიას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, § 3.

ინდივიდუალური საქმეების განხილვას განაახლებს.

საია სტრასბურგის სასამართლოს წინაშე იცავს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ პირთა ინტერესებს. საიას ჯამში 53 საჩივარი აქვს წარდგენილი 350-ზე მეტი ადამიანის სახელით. წარდგენილი საჩივრები შეეხება მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობას, არასათანადო მოპყრობას, მათი ქონების ძარცვას, განადგურებას. საია, ასევე, იცავს 2008 წლის 10-27 აგვისტოს პერიოდში ცხინვალის დროებითი მოთავსების იზოლაციაში დაკავებული სამოქალაქო ტყვეებისა და 2008 წლის 8-17 აგვისტოს პერიოდში დაკავებული სამხედრო ტყვეების ინტერესებს.

ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში სასამართლოს მოუწევს, დამატებით იმსჯელოს რუსეთის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი რომელიმე უფლების დარღვევას უშუალოდ იმ ინდივიდის მიმართ, ვისაც საჩივარი აქვს წარდგენილი. ამ მსჯელობისას სასამართლო გარკვეულწილად მხედველობაში მიიღებს სახელმწიფოთაშორისი საქმის ფარგლებში მის მიერ დადგენილ სტანდარტებს და არგუმენტაციას. შესაბამისად, სახელმწიფოთაშორისი საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური საქმეებისთვის. სახელმწიფოთაშორისი საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იმ საქმეებში, რომლებიც 2008 წლის 8-12 აგვისტოს პერიოდში სიცოცხლის უფლების დარღვევას შეეხება, სასამართლომ, შესაძლოა, დამატებით იმსჯელოს იურისდიქციის საკითხზე და უფრო ვრცელი დასაბუთება წარმოადგინოს, რატომ ვრცელდება ან/და არ ვრცელდება რუსეთის იურისდიქცია იმ კონკრეტულ პერიოდში ჩადენილ შემთხვევაზე. მეორე მხრივ, არსებობს რისკი, რომ სასამართლომ დამატებითი დასაბუთების გარეშე იგივე გაიმეოროს 2008 წლის 8-12 აგვისტოს პერიოდში მომხდარ დარღვევებზე იურისდიქციასთან დაკავშირებით და მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის დადგენით შემოიფარგლოს. ხოლო იმ ინდივიდუალურ საქმეებში, რომლებიც 2008 წლის 12 აგვისტოს შემდგომ პერიოდს შეეხება, სასამართლო ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით მაღალი ალბათობით დაადგენს რუსეთის მხრიდან მკვლელობის, დაკავების, არასათანადო მოპყრობისა და ქონების განადგურების დარღვევებს.

2. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილი ინდივიდუალური საქმეები

საქართველოს მოქალაქეთა უფლებების ხელყოფის ფაქტები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც მასობრივად გაგრძელდა. ომის შემდეგ რუსეთმა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად დაიწყო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, რასაც შედეგად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების ხელყოფა, მათ

შორის, საკუთრების უფლების დარღვევა მოჰყვა. ბორდერიზაციის პარალელურად, საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ ადამიანთა უკანონო და თვითნებური დაკავებები დაიწყო. დაკავებების მანკიერი პრაქტიკის პარალელურად, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების შემთხვევებსაც, როგორებიცაა სიცოცხლის უფლების ხელყოფა ან/და სხეულის დაზიანებების შემთხვევები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთმა საქართველოს 4 მოქალაქის, მათ შორის, გიგა ოთხოზორიას სიცოცხლე იმსხვერპლა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მომხდარი დარღვევების შედეგად დაზარალებულ პირთა ინტერესებს საია იცავს ევროპულ სასამართლოშიც. საიას ჯამში 8 საჩივარი აქვს წარდგენილი, რომლითაც 30-ზე მეტი ადამიანის ინტერესებს წარმოადგენს. აღნიშნული საქმეები შეეხება საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებასა და მათ არასათანადო მოპყრობას ცხინვალის ციხეებში, მავთულხლართების გავლების შედეგად საკუთრების უფლების დარღვევასა და სიცოცხლის უფლების ხელყოფას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 21 აგვისტოს საქართველომ ევროპულ სასამართლოში წარადგინა სახელმწიფოთაშორისი საჩივარი (IV), რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავებების, თავდასხმებისა და მკვლელობების ადმინისტრაციულ პრაქტიკას შეეხება.²³

ევროპულმა სასამართლომ 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ 2008 წლის 10 ოქტომბრის შემდეგ პერიოდშიც დასტურდებოდა რუსული სამხედრო ძალების ყოფნა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიების ხელისუფლების დაქვემდებარება რუსეთზე. აღნიშნული კი მიუთითებდა ამ პერიოდის შემდეგაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე რუსეთის ფედერაციის ეფექტიანი კონტროლის არსებობას. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ეთნიკურ ქართველებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება არ ეძლეოდათ 2018 წლის 23 მაისამდე (სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომის თარიღი), რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა რუსეთს, როგორც ამ რეგიონებზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ უკვე დაადგინა რუსეთის იურისდიქცია 2008 წლის 10 ოქტომბრის შემდგომ ჩადენილ განგრძობად ქმედებებზე. აღნიშნული დადებით გავლენას მოახდენს როგორც ინდივიდუალურ, ასევე სახელმწიფოთაშორის საქმეზე და ხელს შეუწყობს რუსეთის პასუხისმგებლობის დადგენას.

²³ იუსტიციის სამინისტრო, შევიწროების, დაკავებების, თავდასხმებისა და მკვლელობების ადმინისტრაციული პრაქტიკა – იუსტიციის სამინისტრომ რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში საჩივარი შეიტანა, 22.08.2018, ხელმისაწვდომია: <https://justice.gov.ge/News/Detail?newsId=7765>, [14.02.2021].

დამატებით როგორ მუხლებზე დავთბან ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში მომჩივნები ევროპული სასამართლოს წინაშე?

2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დარღვევებზე წარდგენილ ინდივიდუალურ საქმეებში მომჩივნები დამატებით ითხოვენ იმ უფლებების დარღვევის დადგენას, რომლებიც სახელმწიფოთაშორის საჩივარში არ ყოფილა მითითებული. საიას წარმოებაში არსებულ საქმეებში ასეთი მუხლებია ევროპული კონვენციის მე-4 (მონობის ან იძულებითი შრომის აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლები.

1. კონვენციის მე-4 მუხლი

სამოქალაქო პირები, რომლებიც 2008 წლის 8-27 აგვისტოს პერიოდში ცხინვალის დროებითი მოთავსების იზოლატორში ტყვეობაში იმყოფებოდნენ, ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში სხვა უფლებების დარღვევებთან ერთად, ასევე, დავობენ მათ მიმართ შრომის იძულების გამო კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევის შესახებ. კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ძალები სამოქალაქო ტყვეებს აიძულებდნენ ქართველი ჯარისკაცების ნახევრად გახრწნილი გვამების შეგროვებასა და დამარხვას, ასევე, ცხინვალის ქუჩების დასუფთავებას. ტყვეები იძულებულნი იყვნენ, სამუშაო შეესრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათზე ფიზიკურად ძალადობდნენ ან/და არსებობდა ამგვარი მოპყრობის განხორციელების საფრთხე. სამხრეთ ოსეთის ძალები მომჩივნებს ამუშავებდნენ მთელი დღის განმავლობაში შესაბამისი ანაზღაურების გარეშე.

2. კონვენციის მე-14 მუხლი

იმ საქმეებში, რომლებზეც საია წარმოადგენს 2008 წლის ომით დაზარალებულთა ინტერესებს, მომჩივნები, ასევე, დავობენ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაზე. მომჩივნების ძირითადი არგუმენტი ემყარება შემდეგს: მათ მიმართ სხვადასხვა უფლების დარღვევა, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობა, გაუჩინარება, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქონების განადგურება, სახლების გადაწვა (მაგ. სოფ. ერედვში, აწრისხევში და სხვა) განხორციელდა მათი ქართული ეთნიკური წარმომავლობისა და ეროვნულობის გამო.²⁴

²⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საქმეების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია: shorturl.at/InyNU, [01.02.2021].

რა გავლენა შეიძლება იქონიოს ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე?

2016 წლის 27 იანვრიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ჰააგის სასამართლო) პროკურორის ოფისი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დანაშაულებს იძიებს. წინასასამართლო პალატის გადაწყვეტილებიდან გამოიკვეთა გამოძიების ფარგლები, რომელიც მოიცავს 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში მომხდარ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, რომელიც ჩადენილია სამხრეთ ოსეთში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსული და ქართული შეიარაღებული ძალების ან/და ოსური დე ფაქტო ძალების მიერ.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მოიცავს მკვლელობას, მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას და დევნას, ხოლო ომის დანაშაულები - მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებს, სამშვიდობოებზე განზრახ თავდასხმას, ქონების განადგურებას და ძარცვას. გამოძიების ფარგლებში პროკურორის ოფისი ადგენს კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირის (როგორცაა, მაგალითად, სამხედრო გენერალი, შტაბის უფროსი და სხვა) პასუხისმგებლობას.

2021 წლის 27 იანვარს 5 წელი გავიდა, რაც ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისი გამოძიებას აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ გამოძიება მნიშვნელოვნად ჭიანჭურდება ყველა იმ სიტუაციასთან შედარებით, რომელიც სასამართლოს ამ დრომდე განუხილავს. გამოძიების კონფიდენციალური ბუნების გათვალისწინებით, უცნობია, რა ეტაპზეა ამჟამად გამოძიება. თუმცა პროკურორის ოფისის განმარტებით, 2021 წლის პირველ ნახევარში იგეგმება გამოძიების ფაზის დასრულება.

ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოების მანდატები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჰააგის სასამართლო განსაზღვრავს კონკრეტული პირის პასუხისმგებლობას მაშინ, როდესაც ევროპული სასამართლო სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ადგენს. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოთაშორის საჩივარზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პირდაპირი გავლენა ვერ ექნება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ ნაწარმოებ გამოძიებაზე. თუმცა 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სხვადასხვა უფლების დარღვევას, მათ შორის სამოქალაქო და სამხედრო ტყვეების დაკავებას, მათ არასათანადო მოპყრობას და წამებას, ქონების განადგურებას და ძარცვას ჰქონდა ადგილი. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ ამ დანაშაულებს ხშირ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის ძალების წარმომადგენლები ჩადიოდნენ, მაგრამ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა არ მიიღ-

ეს სათანადო ზომები მსგავსი დარღვევების აღმოსაფხვრელად, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მათი ყოფნა დანაშაულების ჩადენის დროს დასტურდებოდა. შესაბამისად, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ცალსახად ადასტურებს რუსეთის პასუხისმგებლობას ამ დანაშაულების ჩადენისას, რაც მნიშვნელოვანი მტკიცებულება იქნება ჰააგის სასამართლოსთვის. კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირის ბრძანებით, მითითებით ან/და დავალებით ხორციელდებოდა მსგავსი დანაშაულების ჩადენა, ეს საკითხი უკვე ჰააგის სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს.

შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარ დანაშაულებზე დამნაშავე მაღალი თანამდებობის პირთა გამოვლენა და მათთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება უკვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებულ გამოძიებას თან ახლავს მნიშვნელოვანი გამოწვევები (მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომიდან გასულია 12 წელზე მეტი, რუსეთი არ თანამშრომლობს პროკურორის ოფისთან, დაზარალებულთა ნაწილი გარდაიცვალა, განადგურდა ბევრი მტკიცებულება), რამაც, შესაძლოა, გაართულოს პროკურორის ოფისის მიერ კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის დადგენა.

რა ითვება სამხედრო მოქმედებების აქტიური ფაზის (08-12.08.2008) კერიოლში იურისდიქციასთან დაკავშირებით მოსამართლეთა ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებებში?

2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებამ, ევროპული სასამართლოს დიდი პალატის იმ მოსამართლეთა შემადგენლობაში, რომლებიც ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობდნენ, გააჩინა კითხვები სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომლითაც 2008 წლის 8-12 აგვისტოს პერიოდში მომხდარ დარღვევებზე რუსეთის იურისდიქცია არ დადგინდა. შედეგად მოსამართლეთა ნაწილმა გადაწყვეტილებას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრებები დაურთო, რომლებშიც სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ამ ნაწილში არ დაეთანხმნენ.²⁵

მოსამართლეთა მოსაზრებით, 2008 წლის 8-12 აგვისტოს პერიოდში საბრძოლო მოქმედებების აქტიური ფაზის დროს მომხდარ უფლებების დარღვევებზე და მსხვერპლებზე რუსეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა. მოსამართლეთა განმარტებით, გადაწყვეტილებიდან ნათლად არ იკვეთებოდა, სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ კონვენციაში არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში საომარი მო-

²⁵ ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება დაწერეს მოსამართლეებმა: ლემენსმა, გროზემა, იუდკივსკამ, პინტო დე ალბუკერკემ, ჭანტურიამ, ვოიტჩეკმა და დედოვმა.

ქმედებებისა და აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეფასებისათვის თუ სასამართლო აცხადებდა, რომ მტკიცებულებათა შეგროვებასთან დაკავშირებით პრაქტიკული სირთულეების გათვალისწინებით, სასამართლოს თავი უნდა შეეკავებინა კონვენციის დებულებების საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში გამოყენებისაგან.²⁶ მოსამართლეებმა თავიანთ მოსაზრებებში სხვადასხვა სამართლებრივ არგუმენტაციაზე დაყრდნობით გააკრიტიკეს სასამართლოს გადაწყვეტილების ეს ნაწილი.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის მოქმედება

საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) - ეს იყო პირველი საქმე, როდესაც სასამართლოს მოუწია სახელმწიფოთაშორისი საჩივრის ფარგლებში ემსჯელა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებზე. შესაბამისად, სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, რამდენად მოქმედებს კონვენცია მაშინ, როდესაც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს ორ წევრ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე. მოსამართლე გროზევის აზრით, სასამართლოს განსაკუთრებით გაუჭირდა ამ საკითხზე პასუხის გაცემა, ვინაიდან კონვენციის ტექსტი და travaux préparatoires²⁷ არ შეიცავს რაიმე სახის ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

მოსამართლეებმა, პინტო დე ალბუკერკემ, იუდკივსკამ და ჭანტურიამ მათ საერთო ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში, საქმეზე ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ²⁸ დაყრდნობით, მიუთითეს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კონვენციას არ ანაცვლებს და სადაც ეს შესაძლებელია, კონვენცია ჰარმონიულად უნდა განიმარტოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან მიმართებით.²⁹ იმავე პრინციპს ეთანხმება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო,³⁰ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი³¹ და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო.³²

²⁶ იხ. მოსამართლე ლემენსის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, § 2; მოსამართლე ჭანტურიას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

²⁷ მოსამზადებელი სამუშაოები. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე და 32-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულების განმარტებისთვის, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მის დადებამდე არსებული მოსამზადებელი სამუშაოები.

²⁸ Varnava and Others v. Turkey, nos. 6064/90, 16065/90, 16066/90, 16068/90, 16069/90, 16070/90, 16071/90, 16072/90, 16073/90, 18.09.2009.

²⁹ იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, პინტო დე ალბუკერკესა და ჭანტურიას საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, §§ 2, 3, 7, 8.

³⁰ International Court of Justice, „Legality of the Threat or Use of Threat of Nuclear Weapons”, Advisory Opinion, ICJ Reports 1996, 8 July 1996, § 25.

³¹ Human Rights Committee, General Comment no. 31, The nature of the general legal obligation imposed on States Parties to the Covenant, 26 May 2004, § 11.

³² Inter-American Commission on Human Rights, Coard et al. v. United States, report no. 109/99, 29 September 1999, § 39.

იურისდიქციის არსებობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს

მოსამართლეთა განმარტებით, ზოგადად, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს სახელმწიფოთა იურისდიქცია სასამართლოსთვის ახალი და მნიშვნელოვანი საკითხია კონვენციის შემდგომი გამოყენებისათვის.³³

წინამდებარე საქმეში სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდენად იყო იურისდიქციული კავშირი (ეფექტიანი კონტროლის და სახელმწიფოს აგენტის უფლებამოსილებისა და კონტროლის ტესტები) მოპასუხე სახელმწიფოს ქმედებებით დაზარალებულ ადამიანებსა და მოპასუხე სახელმწიფოს შორის. მოსამართლე გროზევის განმარტებით, ეფექტიანი კონტროლის ცნების მკაცრი მისადაგების შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოირიცხება კონფლიქტის ორივე მხარის იურისდიქცია, რადგან იმ მომენტში არც ერთი მათგანი არ ახორციელებს კონტროლს შეიარაღებული დაპირისპირების დროს, მათ შორის, იმ ტერიტორიაზე, რომელიც იბომბება. მისი აზრით, მსგავსი ინტერპრეტაცია ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში აჩენს შავ ხვრელს, ქმნის სამართლებრივ ვაკუუმს და ეწინააღმდეგება კონვენციის მე-15 მუხლით (კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს), ასევე, სასამართლოს მიერ დადგენილ ძირითად პრინციპებს.³⁴

მოსამართლეების - იუდკივსკას, ვოიტჩეკის, ქანტურიასა და პინტო დე ალბუკერკეს აზრით, თანამედროვე სამხედრო ოპერაციები იმთავითვე გულისხმობს ინდივიდებზე გარკვეული ფორმის „სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილებასა და კონტროლს.“³⁵ თუ მტერ მხარეებს შორის ქაოსის ფარგლებში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება და ბრძოლები, რომელთა მიზანია ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება, საჭიროებს ინდივიდებზე ყველანაირი ფორმის „სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილებისა და კონტროლის“ გამორიცხვას, მაშინ აღნიშნულთან დაკავშირებით შეუძლებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება.³⁶

მოსამართლეთა განმარტებით, თუ იზოლირებულ და სპეციალურ შემთხვევებში (საზღვარგარეთ ადამიანის დაკავება, დაზიანება ან მკვლელობა) იურისდიქციის დადგენა ხდება, ცალსახაა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქცია სახეზეა, როდესაც ეს ქვეყანა ახორციელებს ფართომასშტაბიან ოპერაციას, რომლის დროსაც უფლების დარღვევის უამრავ შემთხვევას აქვს ადგილი. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში მრავალი ადამიანის მკვლელობა ვერ გამორიცხავს სულ მცირე პერსონალურ იურისდიქციას, იმის მიუხედავად, სახელმწიფო აგენტებსა და სამიზნე მოსახლეობას შორის რა სახის

³³ იხ. მოსამართლე გროზევის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

³⁴ იხ. მოსამართლე გროზევის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

³⁵ მოსამართლეების: იუდკივსკას, ვოიტჩეკისა და ქანტურიას საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, § 9.

³⁶ იქვე.

სიახლოვე არსებობს. აღნიშნულით მოსამართლეებმა გააკრიტიკეს სასამართლოს არგუმენტი, რომ ბანკოვიჩის საქმის შემდეგ განვითარებული პრაქტიკა მოცემულ შემთხვევაში არარელევანტურია, მათ შორის, სიახლოვის ელემენტის (Element of Proximity) გამო (§ 132). მოსამართლეებმა განმარტეს, რომ დისტანცია სავარაუდო უფლების დარღვევის ადგილმდებარეობასა და ეროვნულ ტერიტორიას შორის არარელევანტურია იურისდიქციის კონვენციური სამართლის მიზნებისთვის.³⁷ მოსამართლეთა განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუკი იურისდიქცია გულისხმობს „სიახლოვის ელემენტს“, იურისდიქცია არ შეიძლება გამოირიცხოს, როდესაც სახელმწიფო გეგმავს და ახორციელებს ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას მისი საზღვრების სიახლოვეს, როგორც ეს რუსეთმა გააკეთა ამ შემთხვევაში.³⁸

ამასთან, მოსამართლეების აზრით, სასამართლოს მითითება, რომ იგი მზად არ არის განავითაროს სასამართლო პრაქტიკა გადაწყვეტილების მიღების დროისთვის უკვე დადგენილი იურისდიქციის ცნების მიღმა, შეუსაბამოა, ვინაიდან სასამართლოს მოეთხოვებოდა არა პრაქტიკის განვითარება, არამედ ამ პრაქტიკაში უკვე არსებული ზოგადი პრინციპების უფრო ზუსტი და თანმიმდევრული მისადაგება საქმესთან.³⁹

რამდენად სწორი იყო სასამართლოს მიერ თავისი არგუმენტაციის გამყარება საქმეზე, ბანკოვიჩი და სხვები ბელგიისა და სხვათა წინააღმდეგ, მითითებით?

მოსამართლეებმა გააკრიტიკეს სასამართლოს უმრავლესობის მიერ ძველი პრეცედენტის, ბანკოვიჩი და სხვები ბელგიისა და სხვათა წინააღმდეგ⁴⁰ საქმის გამოყენება. მათი განმარტებით, პრეცედენტული სამართალი ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხის შესახებ მნიშვნელოვნად განვითარდა ბანკოვიჩის საქმის შემდეგ. მეტიც, მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საქმის გამოყენება არ ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ თავის დროზე სასამართლო ძლიერ გააკრიტიკდა აღნიშნული გადაწყვეტილების გამო.⁴¹

ბანკოვიჩის საქმის მომდევნო პრეცედენტებში, მაგალითისთვის, საქმეში ალ-სკეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,⁴² სასამართლომ განმარტა, რომ როცა სახელმწიფო ახორციელებს ინდივიდზე კონტროლს და უფლებამოსილებას და, შესაბამისად, იურისდიქციას, ის ვალდებულია, კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე, დაიცვას მომჩივნის სიტუაციისთვის რელევანტური კონვენციური უფლებები და თავისუფლებები. დამატებით, სასამართლოს პრეცედენტუ-

³⁷ იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, ვოიტჩეკისა და ქანტურისა საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, § 9.

³⁸ იხ. მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, § 27.

³⁹ იქვე.

⁴⁰ Banković and Others v. Belgium and Others ((dec.) [GC], no. 52207/99 12.12.2001.

⁴¹ იხ. მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, § 30; იხ. ასევე მოსამართლე ქანტურისა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, §§ 6-14; იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, ვოიტჩეკისა და ქანტურისა საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, §§ 4-11; მოსამართლე ლემენსის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, § 2.

⁴² Al-Skeini and Others v. the United Kingdom [GC], no. 55721/07, 07.07.2011, § 137.

ლი სამართალი აჩვენებს, რომ სხვადასხვა შემთხვევაში ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოქმედი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ შეიძლება განხორციელდეს პირის სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოქცევა პირველი მუხლით დადგენილი იურისდიქციის შესაბამისად.⁴³

ასევე, ბანკოვიჩის შემდგომ განხილულ საქმეში ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსაზრება, რომ აქტიური საბრძოლო მოქმედებების დროს შეუძლებელია ექსტრატერიტორიული იურისდიქციის დადასტურება იმ მიზეზით, რომ სახელმწიფოები იბრძვიან კონტროლის დამყარებისთვის და ვერ ხერხდება ეფექტიანი კონტროლის არსებობის დადასტურება. მოსამართლეთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბანკოვიჩის საქმეში დადგენილი სტანდარტები სასამართლომ ჰასანის საქმეში უარყო, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საქმეში სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება იმავე ხარვეზიან არგუმენტაციას დააყრდნო.

კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს (მუხლი 15)

მოსამართლეების - იუდკივსკას, პინტო დე ალბუკერკესა და ქანტურიას აზრით, თუკი სახელმწიფოებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სირთულეები ექმნებათ კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, მათ მე-15 მუხლის შესაბამისად, კონვენციიდან გადახვევა უნდა გააკეთონ.⁴⁴

კონვენციის მე-2 მუხლსა და სამხედრო ოპერაციების შესახებ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს შორის შეუქცევადი კონფლიქტი არსებობს. კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები: „არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა“ - ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ დებულებებს, რომლებიც გარჩევადობის, სიფრთხილისა და პროპორციულობის პრინციპების შესაბამისად, ნებადართულად აცხადებენ მტრის შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმას მათი სტატუსის გამო, იმის მიუხედავად, წარმოადგენენ თუ არა ისინი საფრთხეს ან თავდასხმის დროისთვის მონაწილეობენ თუ არა საბრძოლო მოქმედებებში. ამასთან, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისები ამომწურავია და ის არ ფარავს სიცოცხლის ხელყოფას საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს. დაბოლოს, კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული⁴⁵ ძალის გამოყენების „აბსოლუტური აუცილებლობისა“ და „მკაცრი პროპორციულობის“ სტანდარტი სრულად განსხვავებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილი სამხედრო საჭიროებისა და პროპორციულობის პრინციპებისგან.⁴⁶

⁴³ იქვე, § 136.

⁴⁴ იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, პინტო დე ალბუკერკესა და ქანტურიას საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, §§ 17-8, 25-6.

⁴⁵ იხ. McCann and Others v. the United Kingdom, Series A no. 324, 27.09.1995, §§ 148-9; Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98, 43579/98, 06.07.2005, § 94, Giuliani and Gaggio v. Italy [GC], no. 23458/02, 24.03.2011, §§ 175-76.

⁴⁶ Inter-American Commission on Human Rights, Report on Terrorism and Human Rights, 2002, § 109.

იქიდან გამომდინარე, რომ 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისას რუსეთს კონვენციიდან გადახვევა არ განუხორციელებია, მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დამოუკიდებლად მოქმედების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის მიმართ კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები სრულად მოქმედებს. ამრიგად, ომის დროს ჩადენილი ის მოქმედებები, რომლებმაც სიკვდილის დადგომა გამოიწვია, წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, რადგან ვერ გამართლდება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საგამონაკლისო შემთხვევებით⁴⁷.

მოსამართლეების - იუდკივსკას, ვოიტჩეკისა და ქანტურიას შეფასებით, სავალალოა სასამართლოს ის მიდგომა, რომლის თანახმადაც, ვინაიდან სახელმწიფოთა პრაქტიკა მოწმობს, რომ საკუთარი ტერიტორიის გარეთ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულობისას ისინი არ ახორციელებენ კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად გადახვევას, მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთ დროს მოქმედებენ რწმენით, რომ ამგვარ შემთხვევებში ისინი არ ახორციელებენ იურისდიქციას კონვენციის 1-ლი მუხლის მიზნებისთვის (§ 139).

მოსამართლეთა აზრით, სახელმწიფოს არჩევანი, არ გადაუხვიოს კონვენციიდან, შესაძლოა, იყოს პოლიტიკურად სტრატეგიული პოზიცია იმისთვის, რათა თავიდან აირიდოს საერთაშორისო უკურეაქცია ან უარყოფითი საზოგადოებრივი აზრისგან გამომწვეული არეულობა, ვინაიდან სხვა საერთაშორისო აქტორებმა შეიძლება კონვენციიდან გადახვევა მიიჩნიონ, როგორც სახელმწიფოს განზრახვა, შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაარღვიოს ადამიანის უფლებები; ან მარტივად განმარტონ ისე, რომ სახელმწიფოს არ აქვს კონვენციის დარღვევის მოლოდინი შეიარაღებული მოქმედებების დროს⁴⁸.

მტკიცებულებათა და მსხვერპლთა სიმრავლე

სასამართლოს დასაბუთებაში, იურისდიქციის გამომრიცხველ მიზეზთა შორის სავარაუდო დაზარალებულთა და სადავო ინციდენტთა დიდი რაოდენობის, წარდგენილი მტკიცებულებების მასშტაბისა და შესაბამისი გარემოებების დადგენის სირთულის მითითება გაკრიტიკებულია მოსამართლეთა ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებებში. კერძოდ, მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს როლი ზუსტად ისაა, რომ უპირატესად განიხილოს რთული საქმეები, რომლებიც ხასიათდება „სავარაუდო მსხვერპლთა და სადავო ინციდენტთა დიდი რაოდენობით, წარდგენილი მტკიცებულებების მასშტაბითა და შესაბამისი გარემოებების დადგენის სირთულით“.⁴⁹

⁴⁷ იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, პინტო დე ალბუკერკესა და ქანტურიას საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

⁴⁸ იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, ვოიტჩეკისა და ქანტურიას საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, § 10.

⁴⁹ იხ. მოსამართლეების: იუდკივსკას, ვოიტჩეკისა და ქანტურიას საერთო ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, § 9.

ამასთან, წარმოუდგენელია, რომ სასამართლომ განსაზღვროს თავისი იურისდიქცია არა კონვენციით განსაზღვრული სამართლებრივი კრიტერიუმების შესაბამისად, არამედ მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასებისას შესაძლო სამომავლო პროცედურული და ტექნიკური გართულებების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, სასამართლოს რთულ სამხედრო სიტუაციებთან დაკავშირებით დიდი ხანია აქვს მტკიცებულებათა შეგროვებისა და შეფასების საკმაოდ წარმატებული ტექნიკა, მათ შორის რამდენიმე ინციდენტის შერჩევა სანიმუშო მაგალითისთვის (representative incidents)⁵⁰ და არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც იგივე ტექნიკა არ უნდა იყოს გამოყენებული წინამდებარე საქმეში.

მოსამართლეთა შეფასებით, როგორც ჩანს, სასამართლო განზრახ გაურბის თავსატეხს, ავიწყდება რა, რომ მშვიდობის შენარჩუნება რომის კონვენციის დამფუძნებელი მამების სულ მცირე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იყო, როგორც ეს გამომდინარეობს კონვენციის პრეამბულიდან.⁵¹

⁵⁰ ეს ტექნიკა უკვე დანერგულია საქმეში კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ, *Cyprus v. Turkey*, nos. 6780/74 and 6950/75, Commission's report of 10.07.1976, § 77.

⁵¹ მოსამართლე პინტო დე ალბუკერკერს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება, § 28

